წელიწადი პირველი. — № 5. ხუთშაბათი, 20 ივლისი 1906 წ.

ფასი 6 კაპ.

ფასი გაზეთისა: წლის დამლევამდე 1 მ. 60 კ., სამის თვით — 80 კ., ცალკე ნომერი 6 კ. ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში: **განოვის ქუჩა, სახლი გურგენოვისა № 8** და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში.

ყოველკვირეული სახალხო გაზეთი

3144.

შინაარსი

როდის ვიქნებით თავისუფლები. — გლეხის ჩივილი. — საუბარი გლეხებთან. — ხალხის ფული. — გლეხის ლექსი. — მუშის წერილი. — ცა ილრუბლება. — ჩვენებური ამბები. — რუსეთი. — კანონი.

„გლეხის“ რედაქცია გადავიდა განოვის ქ., სახლი გურგენოვისა, № 8, ქალაქის საბჭოს მახლობლად.

რედაქცია ღია არის დილის 9 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 4 საათიდან 6 საათამდ ს.

რედაქტორის ნახვა შეიძლეაა ყოველ დღე 10—12 საათამდის.

რედაქციის კანტორა უმორჩილესად სთხოვს აგენტებს ანგარიშის გასწორება დააჩქარონ და ეცადნენ თვეში ორჯერ წარმოადგინონ გაყიდულ გაზეთის ფული.

როდის ვიქნებით თავისუფლები

—:—

ჩვენ გავიცანით, თუ როგორ უნდა მოეწყოს მიწის მფლობელობა და სარგებლობა. ახლა ვნახოთ, როგორ უნდა მოვაწყოთ თავისუფლების საქმე, როგორი მართვა-გამგეობა დავაწესოთ, რომ სამართალი და თანასწორობა სუფევდეს ადამიანთა შორის.

მაგრამ სანამ ამის შესახებ ვიტყოდეთ რასმე, გავიხსენოთ, თუ რა არის მართვა-გამგეობა საზოგადოთ და როგორი მართვა-გამგეობა არსებობს დღეს რუსეთში და კერძოთ ჩვენს ქვეყანაში. როდესაც ადამიანები ერთად ცხოვრობენ, ერთ ხალხს ან სახელმწიფოს შეადგენენ, საჭიროა, ყოველი ადამიანი ისე ცხოვრობდეს, რომ მეორე ადამიანს ვნება არ მოუტანოს, რომ ერთმა არ მოიქმედოს ისეთი რამ, რაიც სხვებისათვის საზარალოა; საჭიროა, ადამიანების ერთმანეთთან დამოკიდებულობა შეთანხმებული და წესიერი იყოს, საჭიროა, რომ ყოველმა ადამიანმა იცოდეს თავისი მოვალეობა მეორე ადამიანის და მთელი საზოგადოების წინაშე, საჭიროა გამორკვეული იყოს, თუ რის უფლება აქვს ყოველს მოქალაქეს, თუ როგორ უნდა აგოს პასუხი იმან, ვინც მაგალითად საზოგადო საქმის თავში დგას და საზოგადოების წინაამდეგ მოქმედობს და სხ. ამის მოსაწყობად საჭიროა წესები, ანუ როგორც ჩვენ ვეძახით, კანონები.

საზოგადოებას, ხალხს, სახელმწიფოს საერთო საჭიროება აქვს. ასეთი საერთო საჭიროებაა სახალხო განათლება, ფოსტა, სასამართლო, ჯარი, ურთიერთობა გარეშე ხალხსა და სახელმწიფოსთან და სხ. ამ საერთო საჭიროების დასაკმაყოფილებლად საჭიროა ხარჯი, რომელიც უნდა

გამოიღოს მთელმა ხალხმა. ყოველ წელიწადს უნდა შესდგეს სია, თუ რა და რა საჭიროება აქვს ხალხს და რამდენი ფულია საჭირო ამის დასაფარავად, ამის შემდეგ უნდა გამოანგარიშებულ იქნას, თუ საიდან და ვისგან რამდენი უნდა შეიკრიბოს ფული, ვინ რამდენი უნდა გადაიხადოს ხარჯი საერთო საჭიროებისათვის.

დავაწესეთ კანონები, დავაწესეთ ხარჯები, მაგრამ ეს არ კმარა. კანონს შესრულება უნდა, თუ ვინმე დაარღვია კანონი, პასუხი უნდა აგოს, გასამართლებული უნდა იქნეს. მაშასადამე საჭიროა სამართალი. აი, ამ კანონების გამოცემას, ხარჯების გაწერას და შეკრეფას, სასამართლოს მოწყობას, საერთო საქმეების საერთოთ გაძღოლას — ყველაფერს ამას უწოდებენ მართვა-გამგეობას. ყოველ ხალხში ან სახელმწიფოში იმნაირი მართვა გამგეობაა, თუ როგორია კანონები, სასამართლო, როგორაა გაწერილი ხარჯები, ვის აბარია საერთო საქმეები.

დღეს რუსეთში ისეთი მართვა-გამგეობაა, რომელიც მუშა ხალხს ჩაგრავს, სულს უხუთავს, ყოველის მხრით ავიწროვებს. დღეს რუსეთში ისეთი კანონებია გამოცემული, რომლებიც სასარგებლოა მარტო ერთი მუჭა მდიდრებისათვის, ხელმწიფისა და მისი ნათესავებისათვის, მინისტრებისა, გუბერნატორებისა და სხვა მოხელეებისათვის. ხალხს არაფრის ნება არა აქვს, ყველგან გაბატონებულნი არიან მეფის და მინისტრების დაყენებული კაცები. ფაბრიკებსა და ქარხნებში უთვალავი მუშაა, დღე და ღამე გამწარებული მუშაობენ, მათის ოფლით მექარხნეები მილიონებს იგებენ, თვითონ მუშები კი ღატაკად ცხოვრობენ, ხეირიანი ბინა არ აქვთ, ავად გახდებიან და მათთვის არც წამალია და არც ექიმი. რუსეთში აურიცხველი მიწაა, მაგრამ მიწის მუშა გლეხებს ერთი მტკაველი მიწა არ გააჩნიათ, შიმშილით კვდებიან. ამას წინად რუსეთს ომი ჰქონდა იაპონიასთან. ვისთვის იყო საჭირო ეს ომი? რასაკვირველია, ხალხი წინააღმდეგი იყო ომის, ამ ომმა გააღატაკა ხალხი, ნახევარი მილიონი ადამიანი იმსხვერპლა და დაღუპა, გაბედავს ხალხის შვილი, ხმას ამოიღებს და მაშინვე ომზედ უარესი აშბავი დაუდგება: მთავრობა მიუსევს კაზაკებს, რომლებიც ერთიან აიკლებენ და ააოხრებენ მის სახლ-კარს. გადასახადები ისეა განაწილებული, რომ უფრო ღარიბებს აწევენ კისერზე; მერე ეს ფული ხალხის საჭიროებისთვის კი არ იხარჯება, არამედ უფრო მეტი წილი მეფეს, მინისტრებს, გენერლებს, ჯაშუშებს, ჯალათებს და პოლიციელებს ეძლევათ. სასამართლოც ისეა მოწყობილი, რომ ადამიანი მისგან სამართალს ვერ ელირსება; სასამართლოც მთავრობის კაცებს და მდიდრებს ემსახურება და არ მუშა ხალხს.

რატომ არის ასეთი უსამართლობა და უწესობა დღეს რუსეთში? იმიტომ, რომ მართვა-გამგეობა ხალხის ხელში კი არ, არამედ მეფის, მინისტრების და სხვადასხვა „ჩინონიკების“ ხელშია; იმიტომ რომ მთავრობა ხალხის მტერია და თავის ბედნიერებისათვის ფიქრობს და არა ხალხის გაჭირვებისათვის.

თავისთავად აშკარაა, რომ სამართალი, ნამდვილი კანონი, წესი მაშინ იქნება, როდესაც მაშინ დამყარდება თავისუფლობა, რომ მოისპობა დღევანდელი მთავრობა, ანუ დღევანდელი „ჩინონიკობა“ და ხალხი თვითონ გაუძღვება ყველა თავის საქმეებს. ხალხს სრულებით არ სჭირია არც სხვა მეფობა, არც სხვისი მინისტრობა, არც სხვისი გუბერნატორობა. სამართალი, მართვა-გამგეობა სწორედ მაშინ იქნება, როცა თვითონ ხალხი იქნება ყველაფერი, თავი და გამგე. მაშინ მართვა-გამგეობა მოწყობილი იქმნება მუშა ხალხის საგებლოდ და არა ისე, როგორც დღეს.

ამისათვის საჭიროა, რომ თავისუფლების საქმეც ისე მოეწყოს, როგორც ... საქმე. ზევით ვსთქვით, რომ როცა ... ანები ერთად ცხოვრობენ, ერთს საზ... დოებას შეადგენენ, საერთო ცხოვ... მოსაწყობად საჭიროა წესები, კანონ... უეჭველია, ეს კანონები მაშინ იქნება ... გი, როცა მთელი ხალხი შეიმუშ...

მათ, როცა კანონი მთელი ხალხის სურვილის გამომხატველი იქნება, როცა ხალხი თვითონ დაადგენს იმის კანონს, თუ როგორ მოაწყოს თავისი საზოგადო ცხოვრება. საერთო საჭიროების დასაკმაყოფილებლად საჭიროა ფული, ხარჯი, სამართალი მოითხოვს, რომ ეს ხარჯი განაწილდეს შეძლების კვალობაზე, ვისაც მეტი აქვს, მეტიც გადაიხადოს, ვისაც ნაკლები აქვს — ნაკლები, ღარიბი კი სრულებით ნურაფერს გადაიხდის. ამასთანავე საერთო ფული ნამდვილი სახალხო საჭიროებისათვის უნდა დაიხარჯოს და არ გაიფლანგოს, როგორც დღეს, მეფესა და მის ნათესავებზე, გენერლებსა და ჯაშუშებზე. სასამართლო უნდა იყოს ხალხის სინდისი, უნდა ადევნებდეს თვალყურს, რომ კანონი არავისაგან დაიჩაგროს, რომ ერთმა ადამიანმა არ შელახოს მეორეს უფლება, რომ მდიდარმა არ შეავიწროვოს ღარიბი; სამართლის წინაშე ყველანი თანასწორნი უნდა იყვნენ, ყველა პასუხს უნდა აგებდეს დანაშაულისათვის.

ყველაფერი ეს შესრულდება მაშინ, როდესაც ხალხი თვითონ გამოსცემს კანონს, როდესაც ხალხი გააწესებს გადასახადებს და დახარჯავს საზოგადო ფულებს, როდესაც მოსამართლეები იქნებიან ხალხისავე არჩეული ხალხის შვილები. სოფელი თვითონ მოაწყობს თავის სასოფლო საქმეებს, გამართავს სკოლას, გაიყვანს გზებს, დაარსებს საზოგადო მაღაზიას, დაიქირავებს ექიმს თუ ფერშალს, აირჩევს ასის თავს და ათის თავებს სხვადასხვა მინდობილობის შესასრულებლად. რამდენიმე სოფელი შეერთდება და შეადგენს ერთს საზოგადოებას, რომ შეერთებულის ძალით გაუძღვენ საქმეებს. მაგალითად გზაა გასაყვანი, რომელიც რამდენიმე სოფლისთვის არის საჭირო, ან შეიძლება ერთ სოფელს არა აქვს იმდენი საღსარი, რომ მარტო დაიქირავოს ექიმი, — ამისათვის საჭიროა ერთად მოქმედება. მერე რამდენიმე საზოგადოება შეერთდება და შეადგენს ერთს მაზრას და მთელი მაზრის მცხოვრებნი ან პირდაპირ ან რწმუნებულების შემწეობით გაუძღვებიან მაზრის საქმეებს, აირჩევენ მოსამართლეებს, აირჩევენ მაზრის უფროსს, გამოსცემენ ადგილობრივ კანონებს, შეერთებულის ძალლონით დაიკმაყოფილებენ ადგილობრივ საჭიროებას. რაც საქართველოში მაზრებია — ისინი კიდევ შეერთდებიან და საქართველოს ყველა მცხოვრებნი ერთად მოაწყობენ საერთო საქმეებს, გამოსცემენ საერთო კანონებს. ასევე შეკავშირდებიან კავკასიის სხვადასხვა ნაწილები და კავკასიაც შეუერთდება რუსეთს, რომ ერთად მოიგერიონ შემოსეული მტერი, ერთად დაიჭირონ საქმე სხვა სახელმწიფოებთან, ერთნაირი ფული იქონიონ, ერთად მოაწყონ ფოსტა, ერთნაირი ბაჟები დააწესონ უცხოეთის საქონელზე და სხვა.

რა კი ასე მოეწყობა საქმე, მაშინ საჭირონი არ იქნებიან „ჩინოვნიკები“, არც დიდი და არც პატარა მოხელე. ხალხი და მისი არჩეული კაცები გაუძღვებიან და გააკეთებენ ყველაფერს.

ᲒᲚᲔᲮᲘᲡ ᲩᲘᲕᲘᲚᲘ

—:—

დღე და ღამე, პირუტყვივით,
სულ რომ სხვისთვის ვიმუშავო,
რაღად გავჩნდი?.. მოკვდი ბარემ,
შე ტიელო ჩემო თავო!..

—

სივაგლახე, სიღატაკე
და ცხოვრება საბედ-შავო,
ქუდ-ბედად ვინ დაგაყოლა,
შე ტიელო ჩემო თავო!..

—

არც სახლკარი, არც საწოლი
და არც მიწა სამუშავო!
ყველა ბატონს და ხელმწიფეს,
შე ტიელო ჩემო თავო!..

—

შვილს გამოზრდი... მისი მოვლით
დღენი უნდა გაიშავო.
მერე შენ რა?.. მითხარ, შენ რა,
შე ტიელო ჩემო თავო?!..

—

ოცდა ერთის შესრულდება,
საბრალო და საცოდავი,
მთავრობა გთხოვს: „სალდათი-ო“,
შე ტიელო ჩემო თავო!..

—

მერე რისთვის? იმისთვის, რომ
როცა მტარვალს გაემკლავო,
შენივ შვილის ხელით მოგკლავს,
შე ტიელო ჩემო თავო!..

—

მაგრამ კმარა! ძირს მთავრობავ,
ბატონო და სალოცავო!
შენ შენს მეტი ვერვინ გიხსნის,
შე ტიელო ჩემო თავო!..

ბ. ახოსპირელი.

საუბარი გლეხებთან

—:—

გლეხის მდგომარეობა

იშვიათად მოიძებნება ისეთი მუშა, რომელიც თქვენზე გაჭირვებული იყოს და თქვენზე ცუდად ცხოვრობდეს.

შედარებით თქვენთან ბევრი ქალაქის მუშა მეფურად ცხოვრობს. აბა ერთი ვნახოთ, რა გაქვთ თქვენ სასიხარულო ცხოვრებაში? რას გარგიათ თქვენ ეხლანდელი განათლება? რა გიშველათ, რა სარგებლობა მოგიტანათ მეცნიერებამ, ხელოვნებამ და მრეწველობამ!

მთები მაღაროებით დათხარეს, ზღვები არხებით შეაერთეს, ფაბრიკები და ქარხნები მუშებით აავსეს, აუარებელი მანქანები მოიგონეს, უშველებელი შენობები ააშენეს, მოიგონეს ტელეგრაფი, ათასნაირი მანქანები და წამოჰიმეს ურიცხვი სასახლები, თეატრები, ძეგლები და ეკლესიები; გაჩნდა სამაგალითო ხელოვნება, აოასი სხვა და სხვახაირი მეცნიერება, მაგრამ თქვენ რა? რა გიშველა თქვენ ხელოვნებამ და მეცნიერებამ? რით შეგიმსუბუქეს გაჭირვებული ცხოვრება? არაფრით.

თქვენი სიცოცხლე ისევე მწარეა, როგორც იყო ასი წლის წინად.

ზაფხულში და გაზაფხულში თავისუფალი და უსაქმო მდიდრები დასასვენებლად და წმინდა ჰაერის სასუნთქავად სოფლებში მოდიან და ბუნებით სტკბებიან, თქვენ კი ამ დროს რიჟრაჟიდან მზის ჩასვლამდის მუშაობთ; ზამთარში ეს ბატონები ქალაქებში განცხრომაში არიან, ერთ ღამეში ათასობით ფლანგავენ და აღარ იციან, რაში დახარჯონ თქვენი ნაოფლარი, თქვენ კი საქონელთან ერთად ცხოვრობთ და აყროლებულ ჰაერში იხრჩობით.

თქვენი მინგრეულ-მონგრეულ ქოხებში საეიწროვეა. ავადმყოფობა თითქმის მუდმივი სტუმარია თქვენს ოჯახში.

თქვენ სჭამთ ლობიოს, კართოფილს, შეიდის შეჭამანდს, დომხალს, ღომს და მჭადს, ხორცს კი იშვიათად ხედავთ. თქვენ კატორგელივით მიბმული ხართ სხვის მიწაზე და სხვის ადგილზე. როცა ერთი ან ორი გროში დაგჭირდებათ, თქვენ მაშინვე ცხრამთას იქით მიდიხართ დღიურ სამუშაოს საშოვნელად.

თქვენ არც ფული გაქვთ და არც [illegible] რომ ან თქვენ ისწავლოთ რამე, ან შვილებს ასწავლოთ და ამიტომ მუდმივ გაუნათლებელი და უცოდინარი ხართ. მდიდრებს წინანდელივ[illegible] რად სძულხართ და ეზიზღებით მხოლოდ იმ[illegible]ტომ, რომ ორიოდე გროში ვერ იშოვეთ [illegible] განათლება ვერ მიიღეთ. იმათ არა სწამთ, [illegible] თქვენ სარგებლობა მოგაქვთ კაცობრიობ[illegible]თვის, რომ თქვენ ხართ ამ ქვეყნად მუ[illegible]ხორების მარჩენელი და მხოლოდ თქვენ ჭ[illegible]ბავთ მთელ ქვეყანას პურითა და ჭირნახ[illegible]ლით.

თუ გაბედეთ და პაპიროზი ჩაიდეთ [illegible] მემამულენი და მღვდლები გარყვნილ და გაფ[illegible]ჭებულ კაცს დაგიძახებენ. თუ უქმე დღ[illegible] თქვენმა ცოლებმა, რომელნიც თქვენსავ[illegible] მუშაობენ და შრომობენ, ხეირიანი კაბ[illegible] ჩაიცვეს, ქალბატონები ერთ აყალმაყ[illegible] ასტეხენ ხოლმე: აი რაზე ხარჯავს გლ[illegible]ქალი თავის ფულსაო, თვითონ კი დღ[illegible] ღამე ფარჩაში და აბრეშუმში დაიარებ[illegible] ხელიდან ხელთათმანებს არ იშორებენ და [illegible]ლი დღე მხოლოდ იმას ფიქრობენ, ხვალ [illegible] გორი ტანისამოსი შევაკერინოთო.

თუ თქვენ მოჯამაგირედ მიდიხართ ბატ[illegible]თან, თქვენი ცხოვრება ნამდვილ ჯოჯოხეთ[illegible] გადაიქცევა. თქვენ მაშინ ნამდვილი მონა ხ[illegible] და არაფრით განირჩევით ბატონის საქონ[illegible]საგან.

თუ იჯარით იღებთ მიწას, მოვალე ხ[illegible]

აუარებელი საიჯარო გადასახადი გადაიხადოთ და ბოლოს უნდა გაკოტრდეთ.

თუ თქვენ მონადელე ხართ და ბატონის მიწაზე ცხოვრობთ, ნახევრად თქვენ და თქვენი ოჯახი ბატონისა ხართ. წამდაუწუმ ძღვენი უნდა მიართვათ, მუშაობაში უნდა უშველოთ, შეშა უნდა მოუტანოთ, მოურავს უნდა მიეფეროთ და რამე აჩუქოთ, თორემ სიცოცხლეს გაგიმწარებთ.

სიბერეში ან სრული სილატაკე მოგელით, ან მათხოვრობა. რამდენი ოჯახი დაინგრა ასე, რამდენი გალატაკდა, რამდენი გადასახლდა სხვაგან და რამდენს მოელის ასეთივე ბედი!

მერე ვისი ბრალია ყველაფერი? ვინ არის დამნაშავე, ვინ არის თქვენი დამღუპველი? ამაზე შემდეგ მოვილაპარაკოთ.

ᲛᲔᲮᲘ.

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲤᲣᲚᲘ

—:—

(ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘ)

I

ბევრჯელ გაგვიგონია, უთქვამთ: ამა და ამა ოჯახინერმა, ამა და ამ რკინის გზის გაუვანაში ძალიან ბევრი სახელმწიფო ფული აჭერაო; ან კიდევ ამა და ამ მინისტრმა სახელმწიფო ფული ბევრი გადაალაგა თავის დარდუბლის კიდობანშიო [illegible] სხვა ამბავი. როცა ესე ამბობენ, ბევრს ჩვენ[illegible] [illegible]ეიმალი მოსდის ბირზედ და ნაშნის მოგებით ამბობს: კარგა უქნია, სელმწიფეს მეტს რას გამოარჩებაო. ამას ისინი იტყვიან, ვისაც საქმის ძალა არ ესმის; თითქოს ის ფული, რომელიც მინისტრებმა ან ინჯინრებმა გაიბარეს, ვიდაც სხვისა ეოფილიყოს, ან მართალ თითონ სელმწიფისა. ამ გაუგებრობამ სალხმა არ იცის, რომ ის ფულები, რომელსაც ეგრე ჭფანტავს მთავრობა და მინისტრები თუ სხვა მოხელენი უწყალოთ ეზიდებიან თავიანთ სოროებში ერთგვარ ჭიებივით, ის ფული არის სალხის ფული, შაურობით და ბაზრობით მოკრეფილი გლეხობაში, მუშებში, ვაჭრებში.

არ იციან მათ, რომ სახელმწიფო საქმეებზედ ჩვენი სელმწიფე თავის ფულს ერთს გროშსაც არ ხარჯავს, თუმცა მეტისმეტად მდიდარია. იმის ფულს ვიდა გამოეკიდება, როდესაც სალხის ფულიდან ეს ეგეა მდიდრებზედ მდიდარი ადამიანი თავისთვის ოთვალ წლობით ჭსარჯავს, სალხის დაუკითხავად, ოცდა ხუთს მილიონამდის.

მაშასადამე, მე ვამბობ, სახელმწიფოში რაც ფული იხარჯება, არის სალხის ფული და არა მეფისა. —

ბა მაშ ვნახოთ, მართალ სალხის ფულია ის, თუ სხვა ვინმე თავის გულკეთილობით ბინევს ამ ფულს სახელმწიფო საქმეებში.

ჯერ ავიღოთ მაგალითი. სოფელი რომ არსებობს, იმას თავის მოხელეებიც ჰყავს: მამასახლისი, გზირი, მასწავლებელი, ექიმი, მეგელე და სხვანი. ამათ ყველას ჯამაგირი უნდა. ვინ უნდა მისცეს? რასაკვირველია, იმავე სოფელმა. სხვა ვინ ოხერი გაიცხელებს შენთვის თავს? მაშასადამე ამ მოხელეების ხარჯი უნდა გაიწეროს და გადიხადონ კიდეც იმ სოფლის მცხოვრებელთ. ეხლა ის სოფლის ფული რომ მოიკრიბება, სოფლის ხაზინადარს ჩაბარებენ. მერე იმას მამასახლისი უბრძანებს, რომ მწერალს მიეცი ჯამაგირიო, მასწავლებელს, გზირსაო და დანარჩენთ. რასაკვირველია, თავის თავსაც არ დავიწყებს, ჯამაგირსაც აიღებს და შეიძლება მეტიც გადაითრიოს. ხმას ვერავინ გასცემს, ბატონია!

ეხლა ვიკითხოთ, მამასახლისმა რომ სოფლის მოხელეებს ფული დაურიგა ჯამაგირში, ვისი იყო მამასახლისისა თუ სოფლისა? რადა გამოტნობა უნდა, სოფლისაო, ყველა მოამძახებს.

მეც მანდა ვარ, — სოფლისა. ბა, შეგვადარეთ, სოფლის მაგიერ სახელმწიფო ავიღოთ, ისევ ისე არ იქნება საქმე? უეჭველია, ისევ ისე იქნება.

აი როგორ.

სახელმწიფო არსებობს, ვთქვათ რუსეთის სახელმწიფო. რუსის სალხს მართვა-გამგეობა — მოხელეები სჭირია: სოლები უნდა, სასამართლო და სხვა. ამ მოხელეებს — მეფეს, მინისტრებს, გუბერნატორებს, მაზრის უფროსებს, მოსამართლეებს და უფრო წვრილებსაც ჯამაგირები უნდათ (მერე რაგორი ჯამაგირები აქვთ! ჩვენებურმა გლეხმა რომ გაიგოს, თვალებიდან სიბრაზის წინწკლები წამოსცვივა!*) სიიდან აიღებენ ესენი ჯამაგირს, ვინ მისცემთ? იქნება სელმწიფე აძლევთ? თქვენც არ მოიკვდეთ! თითონაც ჯამაგირს იღებს და სხვას თავის ფულიდან მისცემს?

*) რომელს მოხელეს რამდენი ჯამაგირი აქვს, ამას შემდეგ მოგახსენებთ.

მაშ როგორ შოულობენ ფულს ჯამაგირებისთვის და სხვა ხარჯისთვის? აი სწორეთ ისე, როგორც ჩვენს სოფელში. ადებენ, გამოაინგარიშებენ ეოველ წლავ, რამდენი დასჭირდებათ დასახარჯათ ჯამაგირებში, საჩუქრის მასაცემად მდიდარ გენერლებისთვის, რკინის გზის გასაყვანად, სტრაფნიკებისთვის და სხვისთვის, როგორც თითონ სურთ. ანგარიშის მომკითხავი ვინ არის! მერე ამ ანგარიშით გაწერენ ხალხზედ ხარჯად, დაადებენ ბაჟებს და აქციზს საჭირო საგნებს; სპიჩკას, ნავთს დაგვიძვერებენ. დრაბო ხალხო, შენ კი ისადე.

ხარჯს რომ შემოგვწერენ, ისლა მოგვისევენ სტრაფნიკებს, ბრისტავებს, მამასახლისებს და ვი მის დედის დმერთს, ვინც თავის დროზე არ გადიხდის შეწერილს ხარჯს. ბევრჯელ გინახავთ თქვენც, ძმაბიჭებო, და მეც, რომ საცოდავ-საბრალო ქვრივს უკანასკნელს ქვაბს სტაცებდნენ; დრაბს, დაავთმეოფებულს გლეხს ერთად-ერთს ხელს დოგინს არომევდნენ და ამნაირს ხარჯში უეიდენ.

გვინახავს, დიახ, გვინახავს.

სხვა წვალებას და ჭირს ნუდარც კი მოვიგონებთ, რომელსაც გლეხი კეტი ეწევა ხარჯის გადახთისთვის. ან როგორ წუხს და სული ეელში ებჯინება, რომ ვერ მოახერხა ფულის შოვნა თავის დროზედ. ამის გამო ხშირად მოჭხვედრია ბეჭის ფთაში მსხვილი მათრახი და იფნის ხახრე.

მაგრამ ამას ნუდარ მოვიგონებთ მეთქი. ხომ გითხარით, ეგ თქვენც იცით უჩემოთ.

ამნაირად მოჭკრებენ ფულს — ანუ ხარჯს და შეიტანენ ხაზინაში. მერე ხაზინიდან აძლევენ ეგელას, ვისთვინაც ემეტებათ და რამდენიც სურთ: გაჭეშვთ რკინის გზები, თავისთვინ აშენებენ დიდ ხახლებს და სხვა.

ეს ხაზინაში შესული ფული ვისია, ხელმწიფისაა? არა. მინისტრებისაა? არა. მაშ ვისია? ცხადზედ უცხადესია, ვისიც არისო, მეტევით თქვენ. ეგ ფული ხალხმა გადიხადა, მაშასადამე ხალხისაა და არა სხვა ვისიმეო.

კეთილი და ბატონისანი. მეც ეგ მინდოდა.

აი ამ ხალხის ფულს ხაზინაში შეტანილს, ვეძახით ხელმწიფეო ფულს.

ეგრეც უნდა დავუძახოთ, — რადგანაც ხელმწიფეს შესდგენს ხალხი და არა მთავრობა — მეფე-მინისტრები. მაგრამ რადგანაც ჩვენში — რუსეთში და ხაქართველოშიაც კანსტიტუციაა მოვრობა, ხალხს აღარა ჰკითხავს, ამიტომ ეველას უკეთესი ესმის ეს სიტყვა.

რომ ვიტყვით „ხელმწიფეო“-ვო, თითქოს ეს იმას ნიშნავდეს, რაც ეკუთვნის მეფე-მინისტრებს და არა ხალხს, თუმცა ეგრე კი არ უნდა იყოს.

მაშასადამე ის ინჯინერი, რომელიც რკინის გზის გაყვანის დროს იმბარავს ხელმწიფეო ფულს, ხალხის ფულის ქურდია. ის მინისტრი, რომელიც იმბარავს (მერე ნეტავ. რომელი მინისტრი არ იქცევა ეგრე) ხაზინიდან მიდიოხენებს და თავის ჯიბეს ასუქებს, ხალხის ფულის ქურდია.

ხელმწიფეო ხარჯს ეველა იხდის, მდიდარი და ღარიბი, გლეხი და თავადი, ვაჭარი და მუშა.

ხარჯს ორნაირად გვახდევინებენ, ე. ი. ორ ბირს ტყავს გვაძრობენ. ამ ორნაირს ხარჯზედან ვინ უფრო მეტს იხდის-მდიდარი, თუ ღარიბი — შემდეგში მოვიდაბარაკოთ.

გლეხიშვილი.

ᲒᲚᲔᲮᲘ

დღე და ღამე ოფლს ვიწურავ,
არაფერი მაბადია.
ჩემი საგებ-სახურავი
დაგლეჯილი ნაბადია.

სამკაულად შემრჩენია:
წალდი, ცელი, ბარი, თოხი
და თავისა შესაფარად
ერთი გამჭვარტლული ქოხი.

თითქო ხვედრად განგებისგან
მერგო მარტო თრევა გუთნის;
ვშრომობ მუდამ, და ნაშრომი
სხვას ახარებს, სხვას ეკუთვნის.

რაც რამ კარგი საქმელია —
ჩემი კლავის ნაყოფია,
მე კი მარილს და მჭადს ვლოღნი,
იგიც არ მაქვს საყოფია.

სხვის სიკეთეს მე ვამზადებ,
თვითონ ვრჩები უბედური,
ყველასაგან მეყურება
გინება ლ საყვედური.

სიამე და მოსვენება
ჩემთვის უცნობი ხილია,

არ ვიცი, სიკვდილ-სიცოცხლე
რომელი უფრო ტკბილია.

უქმად მყოფები ლხინობენ,
ცხოვრება იმათ ხელშია,
მე კი, მშრომელსა, შიმშილით
ნერწყვი მიშრება ყელშია;

მეტის მეტ გასუქებისგან
ლუკმა ძლივს ჩასდით პირშია;
ლხინის დროს, თვალს მარიდებენ,
მიწვევენ გასაჭირშია.

როცა ვსჭირივარ, მაქებენ,
ისე — მაგდებენ ჩირადა,
სიმართლის თქმაზედ მკიცხავენ,
მათრახსაც მცემენ ხშირადა.

ადამიანად არ მთვლიან,
რახან არა მაქვს სიმდიდრე,
არ იქნა, კაცის უფლება
ამ ქვეყნათ ვერ დავიმკვიდრე.

ვისაც რომ დავუმეგობრდი,
გინდ მტერსა, გინდა მოყვარეს,
ჩემი დამჭკნარი ხორცისთვის
სუყველამ დანა გალესეს.

ვინ წყეულმა დამაწერა
მუდამ ტანჯვა, სივაგლახე?
თუ ხარის ბედს მიწესებდა,
რაღად მომცა კაცის სახე?

ცის შეხედვას მიკრძალავენ,
მიწისკენ გეპყრას თვალიო,
თუ გაგიჭირდეს — გაჩუმდი,
ეს არის შენი ვალიო.

ხუცები ჩამჩიჩინებენ:
შენ ღვთისგან ხარ ნაკურთხიო,
ეცადე, რომ არ მოგვაკლო
ზედაში და საკურთხიო.

ამა ქვეყნად გაიჭირვე,
იქ დაგვხდება ნათელიო,
ყველაფერი მოიკელი
და იყიდე სანთელიო.

მკვდრებსაცა ნუ დაივიწყებ,
მაწირვინე ხშირადაო,
თითო მანეთს გამოგართმევ,
არ დაგიჯენ ძვირადაო.

ღვთის მაგივრად დაგვაყენეს
მხოლოდ გვიგდე ჩვენ ყურიო,
სხვამ რაც გითხრას, არ უსმინო,
გაგაბრიყვებს მაცდურიო.

მღვდელ მოლაზონს რასაც მისცემ,
ყველას ღმერთი აფასებსო,
გადაგიხდის მაგიერსა
ერთის ნაცვლად ათასებსო.

წუთი სოფლად რად გჭირია
სიმდიდრე და ქონებაო,
ჩვენ მოგვეცი, რომ იმ ქვეყნად
მოიპოვო ცხონებაო.....

არა! მუშამ თავის ბედი
თვითონ უნდა გამონახოს,
თუ არ უნდა, რომ მუდმივად
იტანჯოს და ივაგლახოს.

არავინ ჩვენ არ გვიშველის,
ნუ გვექნება სხვის იმედი;
ჩვენვე უნდა გამოვჭედოთ
ცხოვრება და ჩვენი ბედი.

გრ. ცინცაძე.

მუშის წერილი

—:—

ამსანაგებო ბლუსებო!

მე ვარ ქალაქის მუშა, თქვენთან გამოზდილი, თქვენთან ერთად გაჭირვების ამტანი, თქვენსავით ყოველი მხრიდგან შევიწროვებული. ჩვენ ორთავენი ძმები ვართ იმიტომ, რომ ერთ ტაფაში ვიწვით, ერთნაირად ვიტანჯებით და ერთი გვაქვს მისწრაფება. როგორც ჩვენთვის, ისე თქვენთვისაც საჭიროა თავისუფლება, საჭიროა თანასწორობა, საჭიროა ეხლანდელი წესწყობილების მოსპობა.

ქალაქებში აუარებელი ფაბრიკა-ზავოდებია, რომლებშიაც ასობით და ასიათასობით ვმუშაობთ მუშები. მაგრამ ჩვენთვის არ არსებობს სამართალი, რომ შეგვეძლოს თავი დავახწიოთ აუტანელს მდგომარეობას. გაჭირვებულნი დღესა და ღამეს ვასწორებთ, წელზე ფეხს ვიდგამთ, ოფლში ვიწურებით, მაგრამ მაინც გვშია, მაინც გვწყურია, მაინც ვერ ამოვსულვართ გაჭირვებულ მდგომარეობიდგან.

ჩვენის ოფლით და ჩვენის შრომით გასუქებული ღიპიანი „ხაზეინები“ მუდამ ფუფუნებაში არიან; მუდამ კარგსა სჭამენ, მუდამ კარგსა

სვამენ და კარგს სადგომში სცხოვრობენ. ჩვენ კი ვსცხოვრობთ ნესტიან სარდაფებში; ამით ხშირად ავად ვხდებით და ვესალმებით წუთისოფეს.

სოფლებში, როგორც ჩვენში, ისე მთელ რუსეთში, აუარებელი მიწებია. მაგრამ ვის ეკუთვნის ეს მიწები? იმას, ვისაც უნდა ეკუთვნოდეს სამართალით?! ე. ი. ვინც ოფლსა ჰღვრის მიწის დასამუშავებლად? სუყველამ ვიცით, ამხანაგებო, რომ დღეს მიწები არ გეკუთვნით თქვენ (გაჭირვებულ გლეხებს), არამედ ჩაუგდიათ ხელში მუქთა მჭამელებს: მემამულეებს, სახელმწიფოს და სხ.... თქვენ კი, დღე და ღამეს ასწორებთ, სიმწრის ოფლსა ჰღვრით, მაგრამ მაინც მშიერი ხართ, მაინც შეგიწროვებული ხართ, მაინც ვერ ამოსულხართ იმ გაჭირვებულ მდგომარეობიდგან, რომელშიაც თქვენ იმყოფებით. რა არის ამხანაგებო, ამის მიზეზი? რა არის და **უსამართლობა**, რომელიც მძიმე უღლად გვაწევს კისერზე. ამის მიზეზია ის, რომ მიწები, ქარხნები, ფაბრიკები და სხვა სიმდიდრე ხელში ჩაუგდიათ იმათ, რომელნიც არ მუშაობენ.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც რუსეთ-იაპონიის ომი გათავდა. ვინ მოსთვლის რამდენი უდანაშაულო სისხლი დაიღვარა ამ ომში; რამდენმა ჩვენმა ამხანაგმა დალია სული ბრძოლის ველზე. ვისთვის იყო საჭირო ეს დამაქცეველი და ხალხის დამღუპველი ომი? რატომ მოაკლდა ჩვენს სამშობლოს თავ-დადებულნი მებრძოლნი? რატომ დაიღვარა სისხლი უდანაშაულო ხალხისა?

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. უმანკო სისხლი უდანაშაულო ხალხისა იღვრება არა მარტო ომში, არამედ მშვიდობიან დროსაც ქალაქებში და სოფლებში.

გამხეცებული კაზაკები თავის უფროსის ბრძანებით ხვრეტენ და ახჩობენ ჩვენ ძმებს და ამხანაგებს იმიტომ, რომ იმათ გაბედეს და სამართალი მოითხოვეს. ერთი სიტყვით მუშა ხალხი და თქვენც გაჭირვებულნო გლეხებო, ყოველი მხრიდგან დაჩაგრული ვართ.

მერე სად არის ხსნა გაჭირვებული ხალხისა? როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ დავახწიოთ თავი ამ აუტანელ მდგომარეობას, რომ მშრომელნი არ ვიტანჯებოდეთ მთავრობის უსამართლობისა და თვითნებობისაგან, რომ მშრომელნი არ ვმუშაობდეთ მდიდრების გასასუქებლად, რომ სხვისი ლუკმა არ ვიყოთ და ჩვენი ნაშრომი ჩვენვე გვეკუთნოდეს?

ეს კითხვები თვითეულ ჩვენგანს ებადება თავში, და თვითეული ჩვენთაგანი ვალდებულია, გადასწყვიტოს იგი.

ამხანაგებო! თქვენ კარგათ იცნობთ ეხლანდელ მთავრობას და მის ვერაგულ მოქმედებას. მთავრობა მდიდრების, მექარხნეების და მემამულეების დამცველი და დარაჯია. ამიტომ ეს მთავრობა უნდა დავსცეთ ძირს. გაიხსენეთ, ამხანაგებო, 9 იანვარი: რამდენმა ჩვენმა ძმამ დაღვარა უმანკო სისხლი პეტერბურგის ქუჩებში, რამდენი მებრძოლი დახვრიტეს და ჩამოახრჩვეს, გაიხსენეთ აგრეთვე ბელოსტოკის „პოგრომები“, თბილისი 29 აგვისტოს, – 22 ოქტომბერს, 22 დეკემბერს, და უკანასკნელად 4 ივლისს. აი ამხანაგებო, მარტო ეს სამიოდე მაგალითი რომ ავიღოთ, საკმარისია მთავრობის მხეცური მოქმედების, თვითნებობის და უსამართლობის დასამტკიცებლად. მე არ შეუდგები აქ იმის ჩამოთვლას, თუ რამდენი საზიზღრობა და სიმხეცე ჩაუდენიათ მთავრობის ავაზაკებს.

ეს თქვენც კარგათ იცით; თქვენ თითონ გიმოგიცდიათ. ყველა ამას დაუმატეთ კიდევ უკანასკნელი ფლიდობა მთავრობისა. მთავრობამ დაითხოვა სახელმწიფო სათათბირო. რათა? რისთვის? იმისთვის, რომ ხალხის გაგზავნილმა დეპუტატებმა გაბედეს და აღიარეს მთავრობის წინაშე მხოლოდ ზოგიერთი ჩვენი მოთხოვნილება!..

მაშ, რაღა დაგვრჩენია, ამხანაგებო?! კიდევ გვქონდეს ნდობა მთავრობისადმი? კიდევ უნდა ვემონოთ იმათ, ვისაც ვემონებოდით? არა და არა, ამხანაგებო! ჩვენ მთავრობას აწ ვერაფერში ვერ ვენდობით. კმარა მონობა! გვეყო ამოდენა ტანჯვა და წვალება! გვეყო ამოდენა უსამართლობა, გვეყოფა რაც გვცარცვეს და ვგვლეჯეს!

მივსცეთ ძმურად ხელი ხელს, შევკრათ ერთი პირი, და გვქონდეს ნამდვილი ერთობა და მედგრად შევძახოთ ჩვენს მტარვალებს:

აწ აღარ გვინდა მონობა, გვეყო რაც გვცარცვეთ და გვყვლიფეთ. ჩვენ გვინდა გავხდეთ

თავისუფალნი და თავისუფლად მოვიხმაროთ სიმწრის ოფლის შრომის ნაყოფი! დღეის იქით არ მოგცემთ არც სალდათს, არც არავითარ გადასახადებს!“

ეს კი, ამხანაგებო, ბოლოს მოუღებს წურბელა მთავრობის და მუქთახორა მემამულეების და კაპიტალისტების ბატონობა-ფარფაშობას.

მაშ, აღიმაღლეთ ხმა, გამოდით ჩვენთან ერთად და დავამსხვრიოთ ის უსამართლობის უღელი, რომელიც თქვენცა და ჩვენც ეგრე მძიმედ დაგვწოლია კისერზე. თქვენც შეუერთდით, ამხანაგო გლეხებო, მთელ რუსეთის გლეხობას და მოითხოვეთ, უპირველეს ყოვლისა, მიწა და თავისუფლება. მხოლოდ ბრძოლით შეგვიძლია დავახწიოთ თავი ჩვენ ბრძანებლებს, მხოლოდ ბრძოლით შეგვიძლია, მოვიპოვოთ ყველა ის, რაც ჩვენთვის აუცილებელია.

მაშ ბრძოლა, ამხანაგებო, ბრძოლა მედგარი!...

შუშა ჯოლა გურული.

ცა იღრუბლება...

ცა იღრუბლება...

ბნელი ძალები კვლავ იკრებენ უკანასკნელ ალ-დონეს და ერთსელ კიდევ უმზადებენ მრავალტანჯულ ქვეყანას ათას გვარ საზიზღარ ბორბტებს, ერთსელ კიდევ სურთ, გაინავარდონ იმის ძვალ-ტეკვად ქცეულს ზურგზედ და მით შეარეიონ მისი ერთ-სულოვანი მოქმედება მათ წინააღმდეგ.

მთელი რუსეთის გლესები და მუშები მოითხოვენ **მიწას და თავისუფლებას** და ამის ნაცვლად მათ უმზადებენ ბორკილებს; მოითხოვენ ბურს, მათ კი აწვდიან ტეკვას; სურთ თავისუფალი წმინდა ჰაერი, მის ნაცვლად კი შათ ამწვდევენ და გზავნიან ცივ ქვეყნებსა და შავბნელ სატუსაღოებში; სურთ თავისუფალი, დამოუკიდებელი ცხოვრება და მის ნაცვლად მათ ეორნსავეთ თავს დასჩხავიან ეზასები, სალდათები, ბენ. გუბერნატორები და ჯალათები.

მაგრამ როგორ შეაჩერებს ეს თავხედი არამკითხე ბატონი აბობოქრებულ გლესებსა და მუშებს, რომელნიც ერთ-სულოვნად და მედგრად გაიძახიან: — **„ან მიწა და თავისუფლება, ან — სიკვდილი სახელოვანი“!..**

არა... არა და არა!

რა იყო დღემდე გლესი? რას წარმოადგენდა იგი ჩვენს ცხოვრებაში?

არაფერს! ის იყო უდონო არსება, ფეხით სთელავდა ყველა მის თავ-მოყვარეობას და ზიზღნებას.

რას წარმოადგენს ის დღეს?

ყველაფერს!

დღეს ის რევოლიუციის დედაბოძია, დღეს მან ძირიანად უნდა შესცვალოს მთელი წესწყობილება და დაამყაროს ახალი ცხოვრება.

...და აი, დღეს ის აღსდგა მკვდრეთით და ვაი იმას, ვინც მის სამართალიან მოთხოვნილებებს წინ გადაეღობება და ურჩობას გაუწევს.

სალხის, შეგნებული სალხის მოძრაობა, ის აბობოქრებული ზღვაა, რომელსაც არაფრისა არ ეშინია და არაფრის ერიდება, მაისწრაფის წინ და ერთის დაკვრით განადგურებას უქადის ყველაფერს, რაც იმის წმიდათა-წმიდას წინ გადაეღობება.

ცა იღრუბლება...

ჰაერი დამძიმდა, ადამიანს სუნთქვა გაუჭირდა.

სატაა გაიელვებს, დაიჭექებს მეხი, ამოვარდება გრიგალი და განსწმენდავს ამ ცოდვილ ქვეყანას.

ცა იღრუბლება...

ბოგანო.

ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲥᲘᲖᲘᲧᲨᲘ

გლეხთა გაფიცვები ქიზიყშიაც არის. ქოდალოს საბოქაულოს მცხოვრები გლეხები მთლად გაფიცულან მიწის მესაკუთრე თავადაზნაურობის წინააღმდეგ, მჭიდრო ორგანიზაციული კავშირი შეუკრავთ ერთმანეთს შორის და შესაფერი მოთხოვნილებანიც წარუდგენიათ მემამულეებისათვის. ამ მოთხოვნილებათა ქვა-კუთხედი მიწის ღალის ნაშვიდალის მიცემაა, რაიცა თავადებმავე უნდა წაიღონ ადგილიდან.

ᲠᲐᲭᲐ

შარშან, როდესაც გლეხთა მოძრაობა სასტიკის სისწრაფით მიექანებოდა წინ, ს. ხვანჭკარასა და ტოლას გლეხებმა მოსთხოვეს თ.

ყიფიანებს, დაეთმოთ ოჯახის საჭიროებისთვის საყიფიანო მთიდან შეშა და ხე-ტყის მასალა. ყიფიანები უარზედ დადგნენ (გარდა დიმ. ყიფიანისა), ხოლო როდესაც სოფელმა ბოიკოტი გამოუცხადა, გამოაცალა ბიჭები და მოსამსახურე ქალები, ინებეს დათმობა. თავ. დიმ. ყიფიანმა არა თუ მთა დაუთმო გლეხებს, დაურიგა ღარიბებს სიმინდი, პური და ღვინო, იმ პირობით: როდესაც მოგცეთ ღმერთმა, ჩემს თავნს ნუ დამიკარგავთო. ღარიბი გლეხები გაანთავისუფლა იმ ფულიდან, რომელიც ემართათ, დახია მათი თამასუქები, როგორც მითხრეს, თითქმის ას თუმანზე მეტისა. გავიდა მას შემდეგ დრო; დადგა რეაქცია. ყიფიანებმა ისარგებლეს ამით და დაიწყეს ჩივილი: გლეხებმა მთები გაგვიკაფესო; თუმცა მათ ჩვენი წერილობითი საბუთიც აქვთ მთების მოხმარებისა, მაგრამ ეს საბუთი მაშინ შიშით მივეცითო. ხოლო დიმ. ყიფიანი არ ჩაერია მომჩივან სახლის კაცების გუნდში.

პირველად რომ რაჭაში დამსჯელი რაზმები მოვიდა, ს. ხვანჭკარას გადაწვეს 48 კომლი გლეხი. ვინც გადაუწვავი დარჩა, იმას სარჩო-საბადებელი მოუსპეს. დაიჭირეს ერთი გლეხი ტყეშელაშვილი, დღემდე ციხეში აყურყუტეს, ხოლო დღეს, როგორც ამბავი მოვიდა, რუსეთში გადაუსახლებიათ. ტყეშელაშვილს ციხიდან გამოუგზავნია გამოთხოვების წერილი ცოლშვილისა და ძმებისათვის. უმცროს ძმას იასონ ტყეშელაშვილს, როგორც კი წაუკითხავს ძმის წერილი, დაუვლია თოფისთვის ხელი და გაქცეულა, მისულა ლუარსაბ ყიფიანთან, უსროლია იმისთვის და იქვე მოუკლავს. ლუარსაბი მოხუცი კაცი იყო, იქნებოდა თითქმის 100 წლის და არც ცუდი სახელი ჰქონდა ხალხში. იქიდან გამობრუნებულა და სოფ. ტოლას მოუკლავს თავ. ლევან ყიფიანის ცოლი. ლევანისათვისაც უსროლია, მაგრამ ტყვია აუცდენია. იმის შემდეგ მიუხტა ბესო ბაქრაძეს და იმის შვილს, თითქის ათჯერ ესროლა, მაგრამ ვერც მათთვის მოურტყამს. მერე გაქცეულა და იქვე სოფლის თავზე გამოქვაბულში შესულა.

ამ ამბის გაგებისათანავე გაჩნდა მაზრის უფროსი ყაზახებით და ბოქაული სტრაჟნიკებით. ღყეშელაშვილმა კლდიდან გაისროლა რამდენჯერმე. ყაზახები იქით-აქეთ დაიფანტნენ და უკან გამობრუნდნენ. მთელი სოფელი შიშის ზარმა მოიცვა, ზოგი სად გადაიხიზნა და ზოგიც სად. ყიფიანები შეგროვდნენ ერთ სახლში. მაზრის უფროსმა მათ ლეკი სტრაჟნიკები მიუჩინა დამცველად. ამბავი მოვიდა, რომ 2 ივლისს მცველ სტრაჟნიკებს და სოფლელებს შეტაკება მოუვიდათო. სტრაჟნიკებს მოუკლავთ ორი სოფლელი. სოფლელებსაც ორი სტრაჟნიკი ლეკი ძალზე დაუჩეხნიათ. ამათი მორჩენა თურმე ძალიან საეჭვოა.

კახეთში

წელს პურის მოსავალს საერთოდ არა უჭირს-რა. თუ მხედველობაში მივიღებთ მიწის სიმჭლექეს, თესლის უვარგისობას და მოყვანის პირობებს, საშუალო მოსავალი მოვა; გაღმა-მხარეს-კი გამოღმაზე უკეთესია და საერთოდ იქით მიწა მეტ მოსავალს იძლევა, თუმცა ჯერ კიდევ გამორკვეული არ არის, მოსავალი კალოში გამოჩნდება. გაღმა მხარეს მკა უკვე თავდება და ლეწვას მიჰყვეს ხელი, ხოლო გამოღმა შუა მკაშია ხალხი.

ჯერ მკა არც-კი გათავებულა და ეხლავე რაღაც უკმაყოფილების ნიშნებსა ვხედავთ, როგორღაც ინძრევა კახეთი, ღალის ნათხალის მიცემაზე ყველა უარზეა. აგრარული მოძრაობის აშკარა ნიშნებია. ვნახოთ, როგორ ჩაივლის ღალის საქმე.

ჯარი სვანეთში

სვანეთისკენ ჯარი ტყვის მტყორცნელებით, როგორც ვწერდით, ოთხ ამ თვეს გაემგზავრა (400 კაცია). წარსულ მაგალითებით შეშინებულმა სვანებმა ოჯახობა, როგორც გვატყობინებენ, ტყეებში გახიზნეს. სვანები თითქმის ყველა მოთხოვნილებას აასრულებენ, მხოლოდ თავადებს ველარ დაეგებიან ქვეშ. 7 ამა თვეს ჯარი ლაშხეთისაკენ გაემგზავრა.

ფოთის მუშები

ამას წინათ ფოთის დამტვირთველი არტელი გაიფიცა და ჯამაგირების მომატება მოითხოვა. საქმის მოსაწყობად გაჰგზავნეს უფროსი აგენტი, მაგრამ არა გამოვიდა რა. შეადგინეს ახალი არტელი რუს-თათარ მუშებისაგან, მაგრამ როდესაც ფოთში ყავიდნენ, ოცდა ათ კაციდან მხოლოდ ოთხი დარჩა სამუშაოდ, მუ-

შაობა ვერ მოახერხეს. შემდეგ გაგზავნეს აი-სორების არტელი 35 კაცისგან, მაგრამ ესენიც ულონონი და უვარგისნი გამოდგნენ. მეტი ნაწილი უკან დაბრუნდა. ახლა ფოთის სადგური სავსეა ვაგონებით; გუშინ ექვსი გემი დაუტვირთველი წავიდა ბათუმს.

არა-საიმედო კაცების სია

მთავრობას განკარგულება მოუხდენია, რომ პოლიციამ და ჟანდარმებმა ყველგან შეადგინონ სია იმათი, რომელნიც შენიშნულნი არიან მთავრობის საწინააღმდეგო საქმეებში. რასაკვირველია, ეს სია მთავრობას იმიტომ უნდა, რომ ამ პირების წინააღმდეგ თავისი ზომები მიიღოს, ზოგი დაატუსაღოს და ზოგი ვადაასახლოს.

გაზეთების დაკეტვა

მთავრობის განკარგულებით დაიკეტა ორი ქართული გაზეთი „ახალი ცხოვრება“ და „სიმართლე“. მთავრობას არ მოსწონს, როდესაც მართალს ამბობენ და ამჟღავნებენ მის უსვინდისობას და ძალმომრეობას.

დუშეთი.

დუშეთის მაზრაში გლეხების მოძრაობა უფრო ძრიელდება. კვალად სდგება რაზმები და კვალად იწყებენ მოქმედებას. არეულობის ცეცხლს მთავრობამ მხოლოდ ნაცარა მიაყარა და ჰფიქრობდა ცეცხლი ჩაქრაო, მაგრამ მოსწყუვდა. ცეცხლი ნაცარ ქვეშ გაჩაღებული აღმოჩნდა და უნდა მოველოდეთ, რომ მალე საკირის ალს მოატრიალებს თავზე. ხალხი ჯერ-ჯერობით მინდვრის სამუშაოში—მკასა, თიბასა და ლეწვაშია გართული...

დ. ხარაგოული.

10 ივლისს გაიფიცა მ. კიკნაძის სამტვრევზე ასამდე ქვის მუშა. მოითხოვეს:

დღიურ მუშებისათვის 8 საათის სამუშაო დღე; ზრდილობიანი მოპყრობა; მუშების დათხოვნა და მიღება, როგორც დღიურების, ისე ნარდ მომუშავეთა თვით მუშების საქმეა, დღიური ქირა უნდა ეძლეოდეს ყველას, განურჩევლად წლოვანებისა, 80 კაპიკიდან 1 მ. 20 კაპიკამდე; ქვის მთლელებს (კალატოზებს) 2 მ. 50 კაპ. ნარდ მომუშავეთ (რიადჩიკებს) უნდა ეძლეოდეთ 10 მ. 50 კ. და 8 მ. საჟენზე, მიწების გადაწმენდა ტახტებზე ყველგან „ხაზეინის“ ანგარიშზე; ფული უნდა ეძლეოდეთ თვეში ორჯელ, მეორეთ არა უგვიანეს ერთის თვისა და სხ.

მუშების მოთხოვნილება ორშაბათს საღამოსვე იქმნა დაკმაყოფილებული და სამშაბათს 12 ივლისს, მუშაობა კვლავ განახლდა.

თელავის მაზრის თავ. აზნაურობა

თელავის მაზრის თ. აზნაურობას კრება ჰქონია და დაუდგენია: „თელავის მაზრის აზნაურობამ კერძო კრებაზე მსჯელობა იქონია საადგილ მამულო საკითხის შესახებ და, მიიღო რა მხედველობაში როგორც თავისი, ისე გლეხების ინტერესები, დაადგინა—ეცნობოს გლეხებს შემდეგი:

1. თავად-აზნაურობა ჰგრძნობს, რომ გლეხებს მიწა ესაჭიროებათ, რომ მიწა უსამართლოდაა დანაწილებული;

2. აზნაურობა თანაგრძნობით მიეგებება ყოველნაირ საადგილ-მამულო რეფორმას, როგორიც იქნება შემუშავებული სახელმწიფო საათბიროს მიერ;

3. მემამულეების და გლეხების აწინდელ დამოკიდებულების დროებით მოწესრიგებისათვის, აზნაურობა საჭიროდ სცნობს დათმობას; ეს საქმე შემუშავებულ იქნება ერთმანეთის თანხმობით და ნებაყოფლობით;

4. ამ შეთანხმების განსახორციელებლად დაწესდეს ადგილობრივი კომისიები გლეხების და აზნაურების წარმომადგენლებისგან.

გლეხების მიტინგი.

კავკავის გზაზე სოფელ ვარონოვკაში გლეხებმა, როგორც გვატყობინებენ, რამდენჯერმე მიტინგი გამართეს, მერე წითელის ბაირაღებით (ზედ ეწერა: „მიწა და თავისუფლება“) წავიდნენ და მთელს ახლო-მახლო სოფლებში მუშაობა შესწყვიტეს. შემდეგ რკინის გზის სადგურზე მივიდნენ ღა მუშებს ხელი ააღებინეს სამუშავარზე. პოლიციას იარაღიცკი ჩამოართვეს.

მკვლელობა

სოფ. ხვედურეთის (ქართლი) მახლობლად ხანჯლით მოუკლავთ მღვდელი ა. დოლიძე. ს. ბუგეულში (რაჭაში) მოუკლავთ აზნ. კონსტ. გიორგობიანი. მიცვალებული სამი დღე ეგდო თურმე გარეთ, პატრონს დამარხვა ვერ გაუბედნია. გიორგობიანს ჯაშუშობას აბრალებენ თურმე.

2 ივლისს ღამე მოუკლავთ ს. ჯვარისას ახ. მერაბ წერეთელი. მოკლულის სახლიც გადაუწვავთ.

რაჭა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ყოველ სალამოს სოფლათ თავს იყრიდა მუშა გლეხკაცობა და ყველას ენაზე ეკერა სათათბიროს ამბავი. გლეხებს დიდი იმედი ჰქონდათ იმისა, უსათუოთ მოგვიპოვებს მიწას და თავისუფლებისო. 12 ივლისს გაზეთებმა ამბავი მოუტანა შვების მომლოდინე გლეხკაცობას, ხელმწიფემ სათათბირო დაითხოვაო. გლეხებმა რომ გაიგეს, დუმიდან დეპუტატები გამორეკესო, საშინლათ ამოიოხრეს და სთქვეს: ეს იყო მთავრობის დაპირება? იძახოდენ, გამოგზავნეთ კაცები და რაც გიჭირთ, დაგაკმაყოფილებთო! ეხლა კი გავიგეთ, როგორი მამაც ყოფილა ჩვენი მთავრობა, ბარემა ამისთანა სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია. გინდა შიმშილით მოვმკვდარვართ, გინდა მათ დავუხოცივართ, სულერთია. თუ ერთხელ როდისმე ვყოფილვართ ვაჟკაცები, არც ეხლა შევარჩენთ ჩვენს დაბრიყვებას ჩვენს მტრებსო. საერთოთ რაჭაში დეპუტატების გამოყრამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

რაჭველი შურდული.

რუსეთი

გლეხების მოძრაობა.

სარატოვის გუბერნიაში გლეხებმა შესანიშნავი გაფიცვა მოახდინეს, გაფიცვა 15 ივნისს სოფ. არკადაკში დაიწყო და მალე სამს მაზრის სოფლებს მოედო. ეს გაფიცვა დიდად საეურადღებოა თავის კარგის მოწყობით, მით უმეტეს, რომ ეს მოძრაობა თითონ გლეხებმა მოაწყეს, განათლებულ კაცებს და გარეშე ხალხს ამ საქმეში მონაწილეობა არ მიუღიათ.

გაფიცვა სოფ. არკადაკში დაიწყო თავად ვიაზემსკის მამულში, ადგილობრივმა გლეხებმა მოსთხოვეს თავ. ვიაზემსკის, იმ შორე გამოფიტულ მინდვრის მაგივრად, რომელსაც დიდი ხანია გვაძლევ იჯარით, ახლო მინდორი მოგვეცა საბანაგოდ. თავადის მოურავმა მეტად გაუჭირა ბასუხის მიცემა და დანიშნულ გადაზე — 15 ივნისს, — ბასუხი არ მისცა გლეხებს; ამიტომ გლეხებმა ამ დღიდან გაფიცვა გამოაცხადეს, მოახდინეს კრებები და მოთხოვნილებანი შეიმუშავეს. არკადაკელ და გარეშე სოფლების მცხოვრებთა მოთხოვნილებას მიემხრნენ ბენზელი და ტამბოველი გლეხებიც, რომელნიც მრავლად იყვნენ მოსულნი თავიანთ საბლობებით სამუშაოდ; ამ მოსულ ხალხს არავითარი საბანაო არა ჰქონდა ცხოვრებისა. გლეხებმა გაფიცვის კომიტეტი აირჩიეს და დაავალეს, რომ ყველა ახლო-მახლო სოფლის მცხოვრებნი და სამუშაოდ მოსული გლეხები შეერთებინა. ეს მოვალეობა კომიტეტმა შესანიშნავათ შეასრულა. თვით ბოლიტიკელ მოხელეს გაოცებდა მშვენიერი წესი, რომელიც კომიტეტს დაეწესებინა და დაეცვა. კომიტეტის ბძანებით სასმელის დუქნები დაიკეტა, ლოთობა სასტიკათ აიკრძალა და რაკი ლოთობა მოისპო, მოისპო ჩხუბი და აყალ-მაყალიც; გამოცხადებული იყო, რომ წესიერების დარღვევისათვის ყველა სასტიკად იქნება დასჯილი, მეტადრე ქურდობისთვისაო. ეოველი უწესობა მოისპო. ადგილობრივ მცხოვრებთ მეტად უკვირდათ, რომ მთელი გაფიცვის დროს ჩვეულებრივი ლოთობა, ქეიფი და ქურდობა არ იყო. ორ ბიჭს თავ. ვიაზემსკის ბოსტანში კიტრი დაეკრიფათ; კომიტეტმა გაიგო ესა და სახალხო სამართალში მისცა ეს ორი ბიჭი. სასამართლომ დამნაშავეთ მიუსაჯა ორ-ორი საათი ავშნის ბალახი გლეჯეთ ცოცხებისათვისაო. კომიტეტმა შეწირულების მოკრება დაიწყო არკადაკსა და გარეშემო სოფლებში ფულად და საბოვაგით და საჭადიოები მოაწყო დამშეულთათვის. რომ საჭადიოებს საქმე არ გასჭირებოდა, კომიტეტმა ადგილობრივი გლეხები თავ-თავიანთ სოფლებში გაგზავნა და არკადაკში მხოლოდ იმათი დეპუტატები დატოვა. შემდეგ ერიდობაზე ყველა სოფელმა ერთნაირი მოთხოვნილება შემუშავეს. გაფიცვის კომიტეტს სხვა და სხვა სოფლიდან მოთხოვნილება მოსდიოდა, მქადაგებლები გამოგზავნეთო. მქადაგებლები გაგზავნეს და კომიტეტის მოთხოვნილებანი ბევრმა სოფელმა და საზოგადოებამ მიიღო. ამნაირად, გაფიცვა მოედო 10—12 დიდ საზოგადოებას, სამს მეზობელ მაზრაში მდებარეს. საბამ გაფიცვა იზრდებოდა და უფრო და უფრო მეტს მოიხრეს იძენდა, მკის დროც დადგა, მემამულენი მუშების ვერსად შოულობდნენ. არკადაკში მემამულეების მოურავები მოდიოდნენ მუშების დასაქირავებლად, სხვათა შორის თავად ვიაზემსკის მოურავ-

ბიც. გლეხებმა თავიანთი ფასი გამოუცხადეს, მოსთხოვეს აგრეთვე სიჯარო მინდვრის გამოცვლა და თვითონ თავ. ვიაზემსკი კომიტეტში დაიბარეს. 40 მან. მაგივრად, თავადმა 30 მანეთი შეაძლია ეს ძნის მომკაში და მინდვრის გამოცვლასაც დაჭიერდა. გლეხები დასთანხმდნენ თავადის პირობას, მაგრამ თავადმა შემდეგში გადაიფიქრა. გაფიცვა გაგრძელდა; სხვა მემამულეები მოურიგდნენ კომიტეტს და ეანებიც მოიმკეს, ვიაზემსკის ეანები კი მუშას ელოდებოდა.

მოვიდა გუბერნატორი გრაფი ტატიშჩევი. ეცადა პირადად დაეყოლებინა გაფიცული გლეხები, მაგრამ ამაოდ. გუბერნატორს მეტად უკვირდა, რომ გლეხები ქალებსა 40 კაპ. ნაკლებ არ ამუშავებდნენ. გლეხებმა უთხრეს, აბა შენმა ცოლმა სცადოს და მაგ ფასში იმუშავოსო. ამის შემდეგ გუბერნატორი წავიდა და ბრძანება გასცა, სასმლის დუქნები გაადეთო. რაკი დუქნები გაიდო, დაიწყო ლოთობა მემამულეებმა გამოგზავნეს ჯაშუშები, რომლებიც არაყს ასმევდნენ შორიდან მოსულ დარიბ-დატაკ ბენზელ და ტამბოველ გლეხებს და კაზაკების შემწეობით სამუშაოდ მიგყავდათ. თანდათან, არეისა და მოსულ მუშების გაჭიერების გავლენით, კომიტეტს გავლენა დაეკარგა. ბოლოცამ ხალხის დატუსადება დაიწყო. საერობო ექიმი ბერდიჩევსკი დატუსადეს, ვითომ გაფიცვის მოთავე ის ეოფილიოს. ხალხი ათას კაცზე მეტი შეიყარა იმის გასანთავისუფლებლად, მაგრამ ექიმმა ურჩია, დამშვიდდითო. ექიმი სარატოვის ციხეში წაიყვანეს. კომიტეტის წევრები ჩუმ-ჩუმად თავ-თავიანთ სადგომებში დაიჭირეს. ერთი მათგანი ადგილობრივ სკოლაში დაემალა ბოლოცას, მაგრამ მაინც დაიჭირეს. მართალია, გაფიცვა თითქმის ჩაიშალა. მაგრამ იქური გლეხობა მაინც დარწმუნებულია, რომ თავ. ვიაზემსკის კართოფილს ამოღების დროს ვასწავლით ჭკუას და იმის ჯავრს ამოვიერთოთ. მაშინ მოსული მუშები ადარ დაგვიშლიან, თავადი ჩვენ ხელში იქნებაო.

ამ არა ჩვეულებრივმა გაფიცვამ სოფ. არკადაკსა და იმის გარშემო სოფლებში 17 დღეს გასტანა; ეს გაფიცვა თითქმის ჩაიშალია, სამაგიეროდ გაფიცვა ამყარად სხვა სოფელს მოედო და სხვა ახალ ადგილებში იჩენს თავსა.

სხვა გაფიცვებიც არის. ვიდნოს გენერალ-გუბერნატორს კოვნოს გუბერნიის მემამულეთაგან დეპეშა მიუღია, ატყობინებენ — მთელს გუბერნიაში სოფლის მუშების გაფიცვაა. მემამულენი ჯარსა თხოულობენ გაფიცულთა წინააღმდეგ სამოქმედოდ.

ასევეა ბოლტავის გუბერნიაში. თავ. კოჩუბეის მამულში გაფიცვა დასრულდა, რადგან მუშებმა ყველაფერი აისრულეს. სამაგიეროდ, მეორე მაზრაში დაიწყო გაფიცვა. აქ მთავრობა ძალიან სასტიკად იქცევა. დღე არ გავა, რამდენიმე კაცი არ დაიჭირონ. მარტო 7 ივლისს ბოლტავაში ჩაიყვანეს და სატუსაღოში ჩასვეს 24 გლეხი და ერთი მღვდელი.

კურსკის გუბერნიის ლოგვის მაზრაში გაფიცვა დასრულდა. მემამულეებმა ხელფასს მოუმატეს.

ჩერნიგოვის გუბერნიის ორ მაზრაში გლეხებმა დაადგინეს, იჯარის ფულად, წინანდელ ოცი მანეთის ნაცვლად გაიდონ მხოლოდ შვიდი მან. დესეტინაში, ხოლო თუ მემამულენი თანახმანი არ იქნებიან, მოხნან მიწები და საიჯარო ფული ხაზინაში შეიტანონ.

მუშათა მოძრაობა

მუშების მოძრაობა დღითი-დღე იზდება. არ არის ისეთი ქალაქი, სადაც არ იმართებოდეს კრებები, გაფიცვები. გაფიცულნი მუშები თხოულობენ თავის მდგომარეობის გაუმჯობესობას, ქირის მომატებას, სამუშაო დღის შემცირებას და სხ. ყველაზე უფრო შესანიშნავია მეპურეების გაფიცვა მოსკოვში, ბაქოს მუშების გაფიცვა, ქვა-მადნების მუშების გაფიცვა ეკატერინოსლავის გუბერნიაში და გაფიცვა ადესის ნავთ-სადგურში. ადესაში მატროსები გაფიცულნი იყვნენ ერთის თვის განმავლობაში და მიადწიეს თავის მიზანს: მათ შეუსრულეს ყველა მოთხოვნილებანი და მატროსებმა დაიწყეს მუშობა. მაგრამ ადესის გენერალ-გუბერნატორმა არ გაანთავისუფლა გაფიცვის დროს დატუსადებული მატროსები. ამიტომ მატროსებმა სელახლა აიღეს მუშობაზე ხელი და მათ შეუერთდენ ნავთსადგურის ყველა მუშები. — მუშები ყველგან ცდილობენ შეერთდენ და კავშირები შეადგინონ. მრავალ ქალაქში დაარსდა ბოლო დროს მეპურეების, მკერავების, ქვის მთლელების, მეეტლეების, მეფეჩების, უბრალო მუშების კავშირები. ზოგიერთი კავშირი, მაგალითად მეპურეების კავშირი, ისე გაიზარდა, რომ მთელს რუსეთს მოედვა და შეერთა სხვადასხვა ქალაქების ერთი და იმავე ხელობის მუშები. კავშირები ერთმანეთს მხარს უჭერენ და გაფიცვის დროს დახმარებას

უჩენენ ერთი მეორეს. გაფიცვის დროს მუშები ცდილობენ, სრულებით არ დალიონ არაყი და სა-ზოგადოთ მაგარი სასმელი, სასტიკად სდევნიან იმას, ვინც დაარღვევს ამხანაგების დადგენილებას. ვარშავაში კი მუშები ბირდაბირ ძარცვავენ და ანადგურებენ მაგარი სასმელის დუქნებს. აგრეთვე უფლებან ვსედავთ იმასაც, რომ მეტი და მეტი შეგნება შედის მუშებში და მუშები თავგამოდებით ებრძვიან შავრაზმელებს და ხულიგანებს. მუშებმა კარგად იციან, ვინცაა მათი მტერი, რომელიც არაფერს არ დაუთმობს მათ ნებაყოფლობით და ამიტომ მზნეთ ემზადებიან ბრძოლისათვის.

მოძრაობა ჯარში.

თუ რა დრმად გაუდგამს ფესვი უკმაყოფილებას კაზაკების შორისაც კი, რომელნიც ყველაზედ უფრო სანდო ბურჯებად ითვლებიან მთავრობისათვის, ამას გვიჩვენებს კაზაკების წერილები. დონის როსტოვის დეპუტატს ხარტახაის მიუღია 4 იანვარს კაზაკების მეათე სოტნასაგან (რომელიც რკინის გზებს დარაჯობს) შემდეგი განცხადება: „ძმებო და მამანო! მთელი რუსეთის ხალხის მიერ არჩეულნო და მოწვეულნო სელმწიფის მიერ! თქვენ უნდა დაკმაყოფილოთ რუსეთის ხალხი. ჩვენ ვთხოულობთ, რომ გლეხებს მიწა მისცეთ. ამორჩეულნო მთელის საქრისტიანოსანო! მოგმართავთ თქვენ, როგორც ღვიძლ ძმებს. ჩვენ, კაზაკებმა, მივტოვეთ მამა, მოხუცებული დედა, ცოლები მცირე წლოვან ბავშვებით. ისეც გავლატაკდით და გავწყალდით და ახლა ამას დაერთო მოუსავლობა. გთხოვთ ჩვენ, ჯარში მიწვეული კაზაკები, რომელნიც საშინელ სამსახურს ვეწევით: ვერაფერი ვერ გაგვიწევია ჩვენ უფროსებთან, რადგან ისინი გვსჯიან და სიკვდილს გვემუქრებიან, კატორგაში გაგზავნით გვაშინებენ. ამ გვარ მუქარით გვაშინებენ, რადგან ჩვენ ერთმანეთი გვეხანება. ბანო რწმუნებულნო, გთხოვთ თავი შეიწუხოთ და ეცადეთ, რომ ჩვენ სახლში დაგვაბრუნონ, იზრუნეთ ჩვენ მშობლებზედ, რომელთაც მძიმე შრომა არ შეუძლიანთ.“

კანონი

—:—

ხშირად ისმის ეხლა სიტყვა „კანონი“. ბევრს ჰგონია, რომ სახელმწიფო სათათბიროს ეცდება ისეთი კანონი გამოსცეს, რომ მშრომელ ხალხს მიწა და თავისუფლება მიეცესო. სხვები კი, ბირიქით, ამბობენ, რომ სათათბიროსგან ნურაფერს გამოელითო.

ვინ არის მართალი და ვინ არის მტუანი? ეს ამის გამორკვევა საჭიროა. მაგრამ ჯერ ერთი ვიკითხოთ, ყველა კანონი სამართლიანია? დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ხალხს ჭეშმარიტ ოსმალეთში და სცვლიდნენ ძალებში. მაშინ ხალხს ადამიანსავით კი არ ექცეოდნენ, არამედ როგორც ბირუტყვებს და უბრალო ნივთს. ისიც გიხსენეთ, რომ ამას კანონით სჩადიოდნენ და დარწმუნდებით, რომ კანონი მუდამ სამართლიანი რიდია.

მაშ ასე: კანონი არის სამართლიანი და უსამართლო. მაგალითად: ერთი კანონი ამბობს, არ შეიძლება არც ვისმეს მოკვლა და არც ქალების ნამუსის ხიდვა. ასეთი კანონი სამართლიანია. მაგრამ... მაგრამ ეს არის, ასრულებენ ამ კანონს თუ არა? ყველამ ვიცით, რომ რუსეთში და ჩვენშიაც გენერლები, ჯარის უფროსები, რაზმის უფროსები, უბრალო ოფიცრები, ჩაფრები, ჯარის კაცები და ყაზახები უმოწყალოდ სოცავენ და აწვალებენ ხალხს, ანადგურებენ და სწვამენ იმათ სახლ-კარს, ნამუსს ხდიან ქალებს და ნორჩ ქალიშვილებსაც კი. ამის კანონი არ არსებობს და მაინც ამ ვაუბატონების მთავრობა სრულიადაც არა სჯის, ბირიქით, აჯილდოვებს კიდეკაც.

ეხლა ხომ ხედავთ, რომ ისინი, ვისაც ხელში ძალა უჭირავს, ძალიან სამართლიანს კანონსაც მხოლოდ იმ დრომდის ასრულებენ, სანამ ეს კანონი საჭიროა და სასარგებლო, ძალა კი მუდამ უფრო ძლიერთა ხელშია ხოლმე. ძლიერნი ეოველთვის იმისთანა კანონებს სწერენ ხოლმე, რომ ამ კანონებით შეიძლებოდეს სუსტის დაჩაგვრა. ეს კანონები რომ დაწვრილებით გადაშინჯოთ, დარწმუნდებით, რომ ყველა კანონი უსამართლოა და ეოველნაირი უსამართლობაც დაკანონებელია. თუ მაინც და მაინც სამართლიანი კანონიც არსებობს, ასეთი კანონი მხოლოდ იმისთვის არის დაწერილი, რომ ეს კანონი მხოლოდ დაბეჩავებულებს შეასრულებინონ, კანონების დამწერნი და ძლიერნი კი ამ კანონებს არ ასრულებენ. იმათ თავიანთი კანონი აქვთ. აი, მაგალითად, იმათი კანონი რას ამბობს:

ვინც ძლიერია, მართალიც ის არის.

სტდება ის, ვინც ჭეშიქრობს, ვითომ ქვეყანას

კანონით განაგებდენ. ქვეყანას მუდამ ძალა განაგებს. ასე იყო ჩვენს დროამდე.

აქნობამდე მეამბულენი, მექარხნე-მეფაბრიკენი, მდიდრები, მდუდლები და მოხელენი ატუაგებდნენ ხალხს და ამ საქმეს არც კანონი უშლიდა, რადგან იმათ ხელში იყო ძალა. ყველა კანონი იმათ საასრგებლოდ იყო დაწერილი. მართალია, ქალაქდაზედ დაწერილი კანონი იმათ მცარცველობასაც საზღვარს უდებდა, მაგრამ ისინი ათას ხრიკებით გვერდს უქცევდნენ ასეთ კანონებს და არ ასრულებდნენ მას. ასეთი ხალხი დაჩაგრულებზე ნაკლებია, მაგრამ ერთი ვიკითხოთ, რისაგან მოხდა, რომ ძალა მათ ხელშია?

იმიტომ, რომ ხალხის გონება დახშულია. იმათ კარგათ იციან ეს და ძალიან ცდილობენ, რომ ხალხი მუდამ სიბნელეში დარჩეს. ისინი სხვებს ნებას აძლევენ სოფლებში საასწავლებლები გახსნან, მაგრამ მასწავლებლებს ნებას არ აძლევენ, რომ გლეხებს ელაპარაკონ, არ აძლევენ ნებას, რომ სოფელში კარგი წიგნები გავრცელონ და სამკითხველოში იქონიონ ხეირიანი გაზეთები და წიგნები.

თუ სოფელში ისეთი კაცი მივა, რომელიც გლეხების განათლებას მოისურვებს, გაჩნდება ჩაფარი, ბოქაული, ყანდარმი და ამისთანა კაცს ან ციხეში ჩაამწყვდევენ, ან სადმე შორეულ ქვეყანაში უკრავენ თავს.

სხვადასხვა სოფლებისა და მაზრების გლეხები რომ შეიკრიბონ თავიანთ გასაჭირზე მოსალაპარაკებლად, მთავრობა მაშინვე ყვირილს მოჭევება ხოლმე, „არიქა, ხალხი აჯანყდაო“ და ყველას ციხეში ჩაამწყვდევს.

ხომ ხედავთ, რომ იმათ, ვისაც ხელში ძალა და ხელმწიფობაა, ყველაზე ძლიერ სინათლისა ეშინიათ. მართალია და, რათ არის კარის კაცი მთავრობის მონა-მორჩილი? რათ და იმიტომ, რომ ხალხის გონება დახშულია. ავიღოთ თუნდ სალდათი. ის თავის უფროსების ბრძანებით აწიოკებს, ხოცავს უბრალო ხალხს და მათ ქონებას ანადგურებს. ის თავისავე ხელით იჭრის ყელს, თავისავე ხელით ჭეშდავს იმ ბორკილებს, რომელთაც მონობაში უჭირავთ მთელი ხალხი და თვითონ სალდათიც.

ჩაფარი, პოლიციელი, ციხის ეარაული — ყველანი ხალხის შვილები არიან. ყველანი ხელს უწყობენ ხალხის დაჩაგვრას, მის გალატაკება-გალარიბებას, ყველანი თავის ხელით იკეთებენ ბორკილებს.

ერთხელ კიდევ ვიმეორებთ, რომ ხალხის გონების ბრალია, რომ ძალა და ბატონობა ხალხის ხელში კი არ არის, არამედ ერთი მუჭა მუქთახორების ხელში, რომელნიც ხალხის შრომითა და ნაოფლარით ცხოვრობენ, თვითონ კი არაფერს აკეთებენ და ყველაზე მდიდრები კი არიან.

ეს ვაჟბატონები მხოლოდ მაშინ დაკარგავენ თავიანთ ძალას, როცა ხალხი თვალს გაახელს, როცა მიხვდება, რომ იგი თვითონვე ხელს უწყობს თავის შებოჭვას. მაშინ მოედება ბოლო მათ ბატონობას.

აბრიალის დამლევს საბელმწიფო საათობირო შეიკრიბა. მის ხელში იყო ბატონობა? ემორჩილებოდა მას ჯარი, უფროსები და ყანდარმები? არა, ჯარი და კაზაკები მას კი არ ემორჩილებოდნენ, არამედ ისევ ძველ ბატონებსა და ბრძანებლებს.

ისინი წინანდებურად ემორჩილებიან თავიანთ უფროსებს, მათი ბრძანებით ხალხს ისევ უწყალოდ ულტაკვენ, იკლებენ, აოხრებენ და სწვავენ. უფროსები იმათ აჯილდოვებენ, და ცარცვა-გლეჯისა და ქალების გაუპატიურების ნებას აძლევენ.

ხომ თქვენც დარწმუნდით, რომ საათობირომ საქმე ვერ გააკეთა. ნუ იტყვით, ვითომ საათობირომ ბრალი ეფიდიეოს, რომ მან ახალი და კარგი კანონები არ შეიმუშავა. ეხლა ხომ იცით, რომ კანონი აქ შუაში არ არის. ვისაც ხელში ძალა უჭირავს და ვინაც ბატონობს ამ ძალით, ის არასდროს არ დაემორჩილება საამართლიან კანონებს.

ეხლა იმათ დიდი იმედი აქვთ ჯარისა და მის სიბნელისა. ისინი ყველაზე მეტად ეხლა იმაზე ზრუნავენ, რომ ჯარის კაცს თვალები არ აეხილოს. საქმე იქამდი მივიდა, რომ ჯარის კაცს არ აკითხებენ ახალიდან გაგზავნილ წერილებს, თუ ამ წერილებში მოხსენებულია, რომ ჯარის კაციც ადამიანია, რომ ისიც ხალხის შვილია, რომ იმასაც უნდა ჰქონდეს სინიდისი. იმათ კარგად ესმით, რომ მათთვის საათობირო კი არ არის საშიში, არამედ ხმა ჭეშმარიტებისა და სიმართლისა, რომელთაც შეუძლიანთ თვალი აუხილონ და გაანათლონ ჯარის კაცი. მთავრობას ესმის, რომ იმ დღეს, რა დღესაც ეს მოხდება, იმის ბატონობას ანდერძი აეგება, რადგან მას ძალა ადარ ექნება.

ზოგიერთები იტყვიან: რისთვის შეიკრიბა სათათბირო, თუ ვერაფერს გააკეთებდა?

მართალია, სათათბიროს არაფერი გაუკეთებია, მაგრამ მისი შეკრება სასარგებლო იყო.

ხალხმა აირჩია თავისი სანდო კაცები, წარმომადგენლები და დაავალა მათ, რომ ხალხის საჭიროება შეეტყობინებინათ მთავრობისათვის. აქამდის ხალხი ნორჩი და უსუსური იყო. მას გონება კარგად ვერ უჭრიდა, მას სწამდა, ვითომ პეტერბურგში მთავრობას გული ეწვის იმის გაჭირვებაზე, რომ მან არ იცის მისი ჭირ-ვარამი და რომ წარმომადგენლებისაგან გაიგებს ამ გაჭირვებას, მაშინვე დაამაყოფილებს ხალხის საჭიროებასა.

გავიდა დრო და პეტერბურგში თავი მოიყარეს ხალხის არჩეულმა კაცებმა. მათ ხმა-მაღალ მოელ ქვეყნის წინაშე აუწყეს მთავრობას ხალხის საშინელი უბედურობა და გაჭირვება. იცის ხალხმა, რომ მათმა არჩეულმა კაცებმა პური და სამართალი სთხოვეს, სთხოვს ისე, როგორც შვილი სთხოვს ხოლმე მამას: მორჩილებით და კრძალვით. მაგრამ მთავრობას ჭკუაში არ დაუჯდა ასეთი „მამობა“. მთავრობას არ მოეწონა ხალხის წარმომადგენლების მართალი სიტყვა და გარეკა სათათბიროდ და არც პური მისცა და არც თავისუფლება. ეზიანები, სამხედრო და გაძღიერებულ დაცვის წესები, ეკზეკუციები, ზარბაზნები და ტყვიის მტყორცნელები — ია ამით გასცა პასუხი მთავრობამ ხალხის მოთხოვნას.

რუსეთის ხალხს კიდევ ჰქონდა მთავრობის იმედი, მაგრამ ეხლა სამუდამოდ დაჰკარგა მან ნდობა მთავრობისადმი. ხალხს თვალები აეხილა და დარწმუნდა, რომ ის მთავრობისაგან ტყვიებისა, ზარბაზნებისა და მათრახების მეტს არაფერს მიიღებს.

მაშ ნუდარ იტყვიან, რომ სათათბირომ არაფერი არ გაარიგა. მან საბოლოოდ აუხილა ხალხს თვალები. შორს არ არის ის დღეც, როცა ჯარსაც აუხილებს თვალები.

მაშინ ხალხს ვედარავინ შეასრულებინებს უსამართლო კანონებს. მაშინ ხალხი გაორკეტებულის ძალით მოითხოვს მიწას და თავისუფლებას და მის სურვილს წინ ვერარავინ გადაუდგება.

კარ—ი.

რედაქტორ-გამომცემელი **მ. ადამაშვილი.**

ახალ ხელისმომწერთა საყურადღებოდ:

„გლეხის“ პირველი № რედაქციაში აღარ მოიპოვება (დაიბეჭდა 3000), ამიტომ ახალი ხელისმომწერნი ამ №-ს ვერ მიიღებენ.

„გლეხის“ აგენტები პროვინციებში.

ქ. ქუთაისი: ქალაქის საბჭო, ვიქტორ მახვილაძე. წიგნის მაღაზია „კოლხიდა“.

ქ. ბათუმი: ქალაქის საბჭო, ბ. გამყრელიძე.

სადგური ხაშური: კასირი გიორგი ჩარხიშვილი.

ჭიათურა: ბ. ბერიძე. ილიკო კაკაბაძე.

ყვირილა: წიგნის მაღაზია გაჩეჩილაძის. ბლატონ ლეკვა.

ფოთი: ონისიმე ყვანია. მიხეილ ესაკია.

სამტრედია: კირილე კოხრეიძე.

დიდი-ჯიხაიში: ნიკოლოზ სოსელია.

ქ. გორი: მიხა აღუაშვილი.

ქ. დუშეთი: მღვდ. ტატუნაშვილი. ზაქ. სვიმონიძე.

ქ. თელავი: ივანე პაატაშვილი.

ქ. სიღნაღი: გიგო შაიშმელაშვილი.

დ. ხონი: მოსიკო ჭელიძე.

დ. ცხინვალი: ნიკო კასრაძე.

ქ. ოზურგეთი: პარმენ თოთიბაძე და გაზეთის ბიურო ტყეულშისა.

ქ. სოხუმი: ბ. ძიძიგური. ბ. თედო სახოკია.

ქ. ახალციხე: კოსტანტინე გვარამაძე.

ყველა ზემოხსენებულ პირებთან მიიღებ ხელის მოწერა გაზეთ „გლეხზე“

ეროვნულდემოკრატიული სოციალისტიკო და სოციალისტურ-რევოლუციონერ

ეროვნა

სურათებიანის დამატებით

ფასი გაზეთისა:

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქში გაგზავნით ერთის წლით	7 მან.	საზღვარ-გარეთ გაგზავნით ერთის წლით	11 მან.
ერთის თვით	50 კაპ. სურ.	ერთის თვით	1 მან.
დამატებითი	80 კ.		

პირველ ივნისიდგან წლის დამლევამდე გაზეთი ეღირება 4 მან.

კანტორის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, სახლი მარტირუზოვისა.

ტამბა „ი დ ე ა ლ ი“ (მ. დ. კიკნაძისა)
ნიკოლოზის ქუჩა, მილოვის სახლი № 6.